საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

14/07/2023 N 324

თბილისი

„შპს „ექსმონი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2019 წლის 16 აპრილის N738 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის N164/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეტანილ იქნას ცვლილება “შპს „ექსმონი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტის 2019 წლის 16 აპრილის N738 განკარგულებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. შპს „ექსმონი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445439847) ვალუტის გადამცვლელ პუნქტზე, სარეგისტრაციო ნომერი 0234471, გაიცეს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალის საქმიანობის ნებართვა, შემდეგ მისამართზე - ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N43.“;

2. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტის 2019 წლის 16 აპრილის N738 განკარგულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი;

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ავთანდილი მაისურაძე

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი